ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 525

ქალაქი ქუთაისი 20 ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 37-ე რიგითი სხდომის
მოწვევისა და ამ სხდომის დღის წესრიგის პროექტის საკრებულოსათვის
დასამტკიცებლად წარდგენის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტის, 26–ე მუხლის 1–ლი პუნქტის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეჩვიდმეტე რიგითი სხდომა მ/წლის 27 ნოემბერს,14.00 საათზე (სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე-2 სართულზე არსებული სხდომათა დარბაზი, ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3).

მუხლი 2. წარედგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ოცდამეჩვიდმეტე რიგით სხდომაზე დასამტკიცებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეჩვიდმეტე რიგითი სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი ს** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ბექა ქებულაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა
და სპორტის კომისიის თავმჯდომარე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ

ბატონი ბაქარ მახარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

4. ქალაქ ქუთაისში, ჟიული შარტავას ქუჩის მე-3 შესახვევის №24-სა და ზვიად გამსახურდიას გამზირის №8-ში არსებული მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების,
ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

5. ქალაქ ქუთაისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის №115-ში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების,
ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

6. ქალაქ ქუთაისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის №59ა-ში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მე-3 შესახვევის №4-ში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მე-3 შესახვევის №2-ში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მე-3 შესახვევის №3-ის ჩრდილოეთით არსებული მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების,
ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია